Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

Empowered lives. Resilient nations.

შიდა-ორგანიზაციული მეწარმეობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში

კონცეპტუალური მოდელი და შესწავლა-შეფასების მეთოდოლოგია

Empowering people for change

წარმოგიდგენთ თვითმმართულ სასწავლო კურსს „შიდა-ორგანიზაციული მეწარმეობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში“

ბოლო ათწლეულია დიდი ყურადღება ეთმობა მეწარმეობას პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საუბარია არა მხოლოდ პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო თვისებათა განვითარებაზე, არამედ სასწავლებლის ხელმძღვანელი მუშაკებისა და თანამშრომლების სამეწარმეო ინიციატივებზე. მიჩნეულია, რომ ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია, როგორც სასწავლო პროგრამების თუ პროცესის ოპტიმიზაციისათვის, ასევე სასწავლო რესურსების განვითარების, დამატებითი ფონდების მოზიდვისა და ორგანიზაციული განვითარების სხვა მიმართულებებით .

კურსი განკუთვნილია უპირველეს ყოვლისა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი მუშაკებისა და თანამშრომლებისათვის, თუმცაღა მიმზიდველი შეიძლება იყოს მეწარმეობის თემატიკით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისათვის.

კურსი ფარავს შიდა-ორგანიზაციული მეწარმეობის ძირითად კონცეპტუალურ საკითხებს, მონაწილეებს სთავაზობს შიდა-ორგანიზაციული მეწარმეობის შესწავლა-შეფასების მეთოდს და დიაგნოსტიკურ სახელმძღვანელოს.

კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეს:

- გააზრებულ ექნება შიდა-ორგანიზაციული მეწარმეობა;
- ეცოდინება ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ უკანასკნელს;
- შეეძლება მისი შეფასება, მასზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა და მათი გავლენის დიაგნოსტიკა;
- შეეძლება შიდა-ორგანიზაციულ განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვა.

კურსი მოიცავს ვიზუალურ და წასაკითხ მასალას, სავარჯიშოებს თვით-შეფასებისათვის.

კურსის გავლის სერტიფიკატის მსურველებმა უნდა შეავსონ შემაჯამებელი ტესტი.

კურსი მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს გაეროს განვითარების პროგრამის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს შეხედულებებს.